Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

დედანი: ინგლისურ ენაზე

No.: **ICC-02/05-01/09**
თარიღი: **21 ივლისი 2010**

წინა საპროცესო განხილვის პალატა I

განიხილავენ: **მოსამართლე სილვია სტაინერი, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე**
მოსამართლე სანჯი მმასენონო მონაგენგი
მოსამართლე კუნო ტარფუზერი

სუდანის დარფურში შექმნილი ვითარება
სარჩელის სახელწოდება
პროკურორი ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის („ომარ ალ ბაშირი“)
წინააღმდეგ

საჯარო დოკუმენტი

დამატებითი თხოვნა რომის კანონმდებლობაში შემავალი ყველა წევრი ქვეყნებისადმი ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრებისა და მისი გადაცემის შესახებ

წყარო: **რეგისტრატორი**

სასამართლოს ოფიციალური თარგმანი

სასამართლო დადგენილების 31 რეგლამენტის მიხედვით დოკუმენტის შესახებ უნდა ეცნობოს შემდეგ პირებს:

პროკურატურას
ბატონ ლუის მორენო ოკამპოს, პროკურორს
ბატონ ესსა ფაალს, პროცესუალური სასამართლოს უფროს ადვოკატს

მოპასუხის დამცველ ადვოკატს

დაზარალებულთა იურიდიულ წარმომადგენლებს
ბატონ ნიკოლას კაუფმანს
ქალბატონ ვანდა მ. აკინს
ბატონ რეიმონდ ბრაუნს

მოსარჩლეთა იურიდიულ წარმომადგენლებს

დაზარალებულ პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ ადვოკატების მომსახურებით

მოსარჩლე პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ ადვოკატების მომსახურებით მონაწილეობის / რეპარაციისათვის

დაზარელებულთა საჯარო დაცვის ადვოკატურას
ქალბატონ პაოლინა მასიდას

მოპასუხეთა საჯარო დაცვის ადვოკატურას
ბატონ ხავიერ-ჟან კეიტას

ქვეყნების წარმომადგენლებს

სასამართლო ექსპერტებს

რეესტრი

რეგისტრატორი
ქ-ნი სილვია არბია

რეგისტრატორის მოადგილე
ბატონი დიდიერ პრეირა

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს („სასამართლოს“) რეგისტრატორი;

აცნობს სასამართლოს პროკურორს სუდანის დარფურში არსებული ვითარების შესახებ და განსახილველად გადასცემს გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს 2005 წლის 31 მარტის 1593 რეზოლუციის შესაბამისად;[1]

აცნობს *პროკურატურის განცხადების თაობაზე განაჩენის მიღების გადაწყვეტილების („გადაწყვეტილება“) შესახებ,* რომელიც ეხება 2009 წლის 4 მარტს წინა-საპროცესო განხილვის პალატა I-ის მიერ გაცემულ *ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრების ორდერს;*[2]

აცნობს *ომარ ალ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრების ორდერის შესახებ,* რომელიც გაიცა 2009 წლის 4 მარტს წინა-საპროცესო განხილვის პალატა I-ის მიერ („პალატა“) რომის კანონმდებლობის 58-ე მუხლის შესაბამისად;[3]

აცნობს *მეორე გადაწყვეტილებას პროკურორის განცხადებაზე დაპატიმრების ორდერის შესახებ* თარიღით 12 ივლისი 2010;[4]

აცნობს *მეორე დაპატიმრების ორდერს ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირზე,* თარიღით 12 ივლისი 2010;[5]

აცნობს რომის კანონმდებლობის მუხლებს 57-დან 60-მდე, 67, 87, 89, 91 და 97 (“კანონმდებლობა”), წესებს 117 176, 184, 187 და 196 პროცესებისა და სამხილის წესებს (“წესები”) და ნორმებს 31 და 111 სასამართლოს ნორმებიდან (“ნორმები”);

---

[1] United Nations Security Council Resolution 1593, S/RES/1593 (2005), adopted on 31 March 2005.
[2] ICC-02/05-01/09-3.
[3] ICC-02/05-01/09-1.
[4] ICC-02/05-01/09-94.
[5] ICC-02/05-01/09-95.

განიხილავს, რომ კანონმდებლობის 89(1) მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს უფლებამოსილებას მოითხოვოს პიროვნების დაპატიმრება და მისი გადაცემა ნებისმიერ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაზეც მოხდება მისი აღმოჩენა;

განიხილავს, რომ ომარ ალ ბაშირზე გაცემული დაპატიმრების მეორე ორდერი "არანაირ შემთხვევაში არ შეცვლის და არ გააბათილებს ადრე გაცემულ დაპატიმრების ორდერს, რომელიც გაიცა 2009 წლის 4 მარტს და რომელიც ძალაში რჩება";[6]

განიხილავს, რომ პალატამ მოითხოვა დარეგისტრირება იმისათვის, რომ:

> (i) მოამზადოს დამატებითი თხოვნა თანამშრომლობის შესახებ ომარ ალ ბაშირის დაპატიმრებისა და მისი გადაცემის შესახებ იმ პუნქტების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია როგორც პირველ ასევე მეორე დაპატიმრების ორდერში და რომელშიც მოცემულია საჭირო ინფორმაცია და საბუთები კანონმდებლობის 89(1) და 91 მუხლების თანახმად, და წესდების 187 რეგლამენტის მიხედვით; და (ii) გადასცეს ამგვარი თხოვნა სუდანის კომპეტენტური მთავრობის წევრებს წესდების 176(2) რეგლამენტის მიხედვით, ყველა ამ კანონმდებლობის წევრ ქვეყანას და ყველა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს წევრებს, რომლებიც არ წარმოადგენენ კანონმდებლობის წევრ ქვეყნებს;[7]

მოითხოვს შემდეგი პირის დაპატიმრებასა და მის გადაცემას გადაწყვეტილებისა და დაპატიმრების ორდერის თანახმად:

- გვარი: ალ ბაშირი;
- სახელ(ებ)ი: ომარ ჰასან აჰმედ;
- სახელი და გვარი აგრეთვე იწერება შემდეგნაირად: ომარ ალ-ბაშირ, ომერ ჰასან აჰმედ ელ ბაშირ, ომარ ალ-ბაშირ, ომარ ალ-ბეშირ, ომერ ალბაშიირ, ომარ ელბაშირ და ომარ ჰასან აჰმედ ელ-ბეშირ;
- დაბადების თარიღი: 1 იანვარი 1944;
- დაბადების ადგილი: ჰოშე ბანაგა, შენდის გუბერნია, სუდანის რესპუბლიკა;
- ეროვნება: სუდანელი;
- საქმიანობა: სუდანის რესპუბლიკის პრეზიდენტი;

[6] ICC-02/05-01/09-94, გვ. 28.
[7] Idem.

- ბრალდებები: მას ბრალად ედება ომის დანაშაული კანონმდებლობის მე-8 მუხლით, დანაშაულებები კაცობრიობის წინაშე კანონმდებლობის მე-7 მუხლით და გენოციდი კანონმდებლობის მე-6 მუხლით.

მისი დაპატიმრებისა და გადაცემის შემთხვევაში:

მოითხოვს, რომ მიღებულ იქნეს ყველა ღონე ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მანამ, სანამ არ მოხდება მისი საბოლოო გადაცემა სასამართლოს რეგისტრატორზე;

მოითხოვს, რომ სასამართლოს ეცნობოს ნებისმიერი განცხადების შესახებ, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნეს ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის მიერ ეროვნულ სასამართლოში კანონმდებლობის 59(3) ან 89(2) მუხლების თანახმად;

მოითხოვს, რომ რომის კანონმდებლობის 87(4) მუხლის შესაბამისად განხორციელდეს ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით მოძეული ნებისმიერი ინფორმაციის უზრუნველყოფა და მართვა იმგვარად, რომ დაცული იქნეს ნებისმიერი მსხვერპლის, პოტენციური მოწმეების და მათი ოჯახების უსაფრთხოება და ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა;

მოითხოვს, რომ რომის კანონმდებლობის 91(2)(c) მუხლების თანახმად სასამართლოს ეცნობოს ნებისმიერი დოკუმენტის, მოხსენების, ან ინფორმაციის შესახებ გარდა დაპატიმრების ორდერისა, რომელიც შესაძლებელია საჭირო გახდეს მისი ჩაბარების დროს;

მოითხოვს, რომ კანონმდებლობის 97-ე მუხლის თანახმად სასამართლოს ეცნობოს ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან შეაფერხოს ამ მოთხოვნების განხორციელება;

მოითხოვს, რომ რომის კანონმდებლობის 89(4) მუხლის თანახმად სასამართლოს ეცნობოს ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რამაც შეიძლება დააყოვნოს ამ მოთხოვნის განხორციელება;

მოითხოვს, რომ ნორმების 184-ე რეგლამენტით სასამართლოს რეგისტრატორს დაუყოვნებლივ ეცნობოს როგორც კი მოხდება ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის ჩაბარება;

მოითხოვს, რომ ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირი სასწრაფოდ გადაყვანილ იქნეს სასამართლოში, როგორც კი გამოცხადდება მისი კაპიტულაცია;

აუქმებს კანონმდებლობის 59-ე მუხლითა და ნორმების 117-ე რეგლამენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობას;

ურთავს წინამდებარე მოთხოვნას შემდეგ დოკუმენებს კანონმდებლობის 87-ე და 91-ე მუხლების და ნორმების 187-ე რეგლამენტის მიხედვით:

i) *ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრების ორდერის ასლს,* რომელიც გაიცა 2009 წლის 4 მარტს (დანართი 1);

ii) *ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირის დაპატიმრების მეორე ორდერის ასლს,* რომელიც გაიცა 2010 წლის 12 ივლისს (დანართი 2);

iii) კანონმდებლობის და ნორმების შესაბამისი დებულების ასლს იმ ენაზე, რომელსაც ომარ ჰასან აჰმედ ალ ბაშირი სრულყოფილად ფლობს და რომელზეც იგი საუბრობს (დანართი 3).

/ხელმომწერი/
მარკ დუბუისონი,
სასამართლო სამსახურის განყოფილების გამგე,
რეგისტრატორის, სილვანა არბიას სახელით

დათარიღებულია 2009 წლის 6 მარტით

ჰაგა, ნიდერლანდები